საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030436193696520

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/12299 **09 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

1. სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის ფინანსური რესურსების მართვისა და ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს გამართული და შეუფერხებელი მუშაობისათვის ესაჭიროება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბალანსზე რიცხულ კომპიუტერებში ჩაწერილი კომპიუტერული სისტემა „ორის მენეჯერის“ 1 სერვერისა (MSL/U) და 9 სამუშაო ადგილის (MN1/U) ლიცენზიის განახლება და მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ზაზა ფიფიას № 04-4591 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა „ორის მენეჯერის“ შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 48440000 (ფინანსური ანალიზისა და ბუღალტრული აღრიცხვეს პროგრამული პაკეტები; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 47) და მისი ღირებულება განისაზღვრა 13 917 ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე